

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
(გაერთიანებული ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან)
სხდომის ოქმი
№-91

ქ. თბილისი; 6 აგვისტო, 2021 წ. 12:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ქორქოლიანი (თავმჯდომარე)

გიორგი ჩავერტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ნინო რუხაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების
სააგენტოს განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე - დავით ჯაიანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების
სააგენტოს განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე – ოთარ ჩიტიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსის
მოადგილე – მარიამ კვერნაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის
მოადგილე – ჯუბა ყანდარელი

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ქორქოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის
უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

8. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, მე-6 კვარტლის კორპუს N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.030.010.01.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

9. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, მე-4 კვარტლის კორპუს N3ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.026.01.035 და N N01.19.27.007.026.01.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

10. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-2 შესახვევის N3-ში (საკადასტრო კოდი: 01.11.05.030.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

11. „ქალაქ თბილისში, ხოშარაულის ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.05.004.034.08.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

12. „ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, I კვარტლის კორპუს N14ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.04.004.006.01.611) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

13. „ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N319-ში (საკადასტრო კოდი: 01.12.11.001.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გორგასლის ქუჩა N28 (ნაკვეთი N135/9)-ში (საკადასტრო კოდები: N01.20.01.135.009.01.500; N01.20.01.135.009.01.501; N01.20.01.135.009.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N2-ში (ნაკვეთი 04/012, საკადასტრო კოდი: №01.12.07.004.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

16. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.013.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

24. „ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ.25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მთავრდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „გეობულინვესტის“ (ს/ნ 206164960)მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ „ვენა დეველოპმენტ ალიანსის“ (ს/ნ 405159340) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

25. „ქ. თბილისში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ N01.18.06.018.052) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის“ (ს/ნ 405159340) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

26. „ქ. თბილისში, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) და შპს „საბურთალოს“ (ს/ნ 405411095) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

27. „ქ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქ. 37ა (ს/კ N01.10.13.023.001) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს „ბოჭორიშვილის“ (ს/ნ 405411139) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

28. „ქ. თბილისში, არჩილ ამაღლობელის ქ.N24-ში (ს/კ N01.14.08.007.064) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „იქსორის“ (ს/კ 405168946) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

29. „ქ. თბილისში, დიღმის მასივი, III კვარტალი (ნაკვ. 43/7) (ს/კ N01.13.03.043.007) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, იმა „დიღომი 2007“-ის (ს/კ 202469113) მიმართ დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

30. „წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ დავით ჯაიანმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით - პირველ საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M₂ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსის (M₂ კატეგორია) მარშრუტის დანართი 2-ში, ასევე დანართი 3-ში და დანართი 4-ში შესაბამისი კორექტივების შეტანას.

დავით ჯაიანმა ისაუბრა პროექტის მომზადების გამომწვევ ღონისძიებაზე და აღნიშნა, რომ M₂ კატეგორიის ავტობუსის №583 მარშრუტზე, ინტეგრირებულ სისტემაზე გადასვლის შემდეგ მგზავრთნავადმა არსებულთან შედარებით საგრძნობლად მოიმატა და საჭირო გახდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანა და ავტობუსის (M₃ კატეგორია) №377 ახალი მარშრუტის ამოქმედება, შემდეგად:

- №377 ახალი მარშრუტი სრულად ფარავს ავტობუსის (M₂ კატეგორია) №583 მარშრუტის გზასავალს, შესაბამისად უნდა გაჩერდეს ავტობუსის (M₂ კატეგორია) №583 მარშრუტის მუშაობა და აღნიშნული მარშრუტი ამოღებულ იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების დანართი 2-ის ლოტი №3-დან, საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების დანართი 2-ის ლოტი №3-დან, საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების დანართი 2-ის ლოტი №3-დან;
- ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიცვლება ლოტი №3-ში შემავალ მარშრუტზე ავტობუსების მაქსიმალური რაოდენობა, კერძოდ: №436 მარშრუტზე მაქსიმალური რაოდენობა ნაცვლად 6 ერთეულისა გახდება 8, №448 მარშრუტზე მაქსიმალური რაოდენობა ნაცვლად 9 ერთეულისა გახდება 12, №504 მარშრუტზე მაქსიმალური რაოდენობა ნაცვლად 13 ერთეულისა გახდება 16, ხოლო №576 მარშრუტზე მაქსიმალური რაოდენობა ნაცვლად 5 ერთეულისა გახდება 8 ერთეული, ჯამში ლოტი №3-ში იქნება მაქსიმალური 44 ერთეული;
- ამასთან, ცვლილება შედის დანართი 3-ში და დანართი 4-ში, საიდანაც ამოღებული იქნება №583 მარშრუტი.

მოხსენების მიწურულს, დავით ჯაიანმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის, ხოლო, მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ქორულიანმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის პირველ მუხლში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილება მიეთითოს სწორი ფორმულირებით.

კომისიის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს თუ რამ განაპირობა დადგენილების პროექტის ცვლილების აუცილებლობა, აღნიშნული გამოწვეული იქნა მგზავრთნაკადის რაოდენობის გაზრდით თუ ფეხზე დგომის აკრძალვით.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, აღნიშნული მირითადად გამოწვეული იქნა მგზავრთნაკადის გაზრდილი ოდენობით, შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა დადგენილების პროექტის შემუშავება.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ახალი მოძრავი შემადგენლობების ცვლილება დადებითად აისახება მოსახლეობის ყოველდღიურობაზე, კომფორტული მგზავრობის თვალსაზრისით, თუმცა, ამასთან, დაკვირვებასა და კვლევას საჭიროებს, ცვლილებების განხორციელების პროცესი იმ თვალსაზრისით რომ არ მოხდეს მგზავრობის შეფერხება.

საკითხის წარმომდგენმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს მიმართა ინიციატივით, რომ დდგენილების დროში მოქმედების თარიღად განსაზღვრულ იქნას შემდეგი: დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გაფრცელდეს 7 აგვისტოდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე, ხოლო, აღნიშნული დათქმა კი განისაზღვროს დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის სახით.

კომისიის წევრებმა გაიზიარეს საკითხის წარმომდგენის ინიციატივა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმომდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნისა და საკითხის წარმომდგენის მიერ მითითებული ინიციატივის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ დავით ჯაიანმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმომდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე-2 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანას და საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად

ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტებსა (დანართი 2) და მათ განრიგში (დანართი 3) შესაბამისი კორექტივების შეტანას.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს დეტალურად გააცნო დადგენილების პროექტით განსაზღვრული ღონისძიებები შემდეგი სახით:

- დანართი 2-ს ემატება ამჟამად მოქმედი ავტობუსების №321 (დიდი დიღმის დასახლების მომსახურებისთვის), №339 (გლდანის დასახლების მომსახურებისთვის) და ახალი №377 მარშრუტი (ვაზისუბნის III მ/რაიონის, II კვარტლის დასახლების მიმართულებით მომსახურებისათვის). ასევე იცვლება ავტობუსის №321 მარშრუტისთვის დადგენილი მაქსიმალური რაოდენობა 19 ერთეულით 10 ერთეულით.
- წარმოდგენილი პროექტით მარშრუტების გზასავალი განისაზღვრება შემდეგი სახით:

- ✓ №321 მარშრუტი - დიდი დიღმის IV მ/რაიონი, კორპუსი №6-ის მიმდებარედ – დიდი დიღმის IV მ/რაიონი – დიდი დიღმი III-I მ/რ- ჯორჯ ბალანჩინის ქ. – გიორგი მინდელის ქ. – თენგიზ შეშელიძის ქ. – მს „სარაჯიშვილი“ უკუმიმართულება: მს „სარაჯიშვილი“ – დავით სარაჯიშვილის გამზირი - თენგიზ შეშელიძის ქ. – ქართულ-ამერიკული მეგობრობის გამზირი – მირიან მეფის ქ. – დიდი დიღმი I -III მ/რ- დიდი დიღმის IV მ/რაიონი – დიდი დიღმის IV მ/რაიონი, კორპუსი №6-ის მიმდებარედ;
- ✓ №339 მარშრუტი - გლდანის VII-VIII მ/რ-ის შემაერთებელი გზა - ილია ვეკუას ქ. - მს "ახმეტელის თეატრი" - ომარ ხიზანიშვილის ქ. - გლდანის VII-VIII მ/რ-ის შემაერთებელი გზა;
- ✓ №377 მარშრუტი - საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი "თბილისის ზღვის პლაზა"-ს მიმდებარე ტერიტორია - ვაზისუბნის დასახლება III მ/რ, II კვ. უკუმიმართულება: მს „ვარკეთილი“ - ჯავახეთის ქ. - 17 შინდისელი გმირის ქ. - შანდორ პეტეფის ქ. - თეოფანე დავითაიას ქ. - ზურაბ პატარიძის ქ. - მარშალ იოზეფ პილსუდსკის ქ. - ვაზისუბნის დასახლება III მ/რ, II კვ. - საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი "თბილისის ზღვის პლაზა"-ს მიმდებარე ტერიტორია.

მოხსენების მიწურულს დავით ჯაიანმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

საკითხის წარმომდგენმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს მიმართა ინიციატივით, რომ დადგენილების დროში მოქმედების თარიღად განსაზღვრულ იქნას შემდეგი: დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 7 აგვისტოდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე, ხოლო, აღნიშნული დათვემა ვი განისაზღვროს დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის სახით.

კომისიის წევრებმა გაიზიარეს საკითხის წარმომდგენის ინიციატივა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და საკითხის წარმომდგენის მიერ

მითითებული ინიციატივის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნევს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე-3 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებულ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში ცვლილების განხორციელებას.

მომხსენებლის განმარტებით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ და „ს“ ქვეპუნქტების შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობა წარმოადგენს 25%-ს, ხოლო, სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით შესაძლებელია საცხოვრებელი ფუნქციის არსებობა არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 90%-ისა.

ოთარ ჩიტიძემ განაგრძო თხრობა და აღნიშნა, რომ არსებული გარემოებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის საბინაო/ სოციალური ვალდებულებების ეფექტურად შესრულების მიზნით, ზემოაღნიშნულ ფუნქციურ ზონებში (სსზ-1; სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის დაწესდა მაკომპენსირებელი ღონისძიებები, კერძოდ, განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვრა -საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარვასულ მდგომარეობაში. ხოლო საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვრება აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 10%-ის ოდენობით.

მომხსენებლის მითითებით, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, განაშენიანების რეგულირების წესების 16¹ მუხლს ემატება მე-10 პუნქტი, რითაც გამონაკლისი წესდება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ/გადაცემულ მიწის ნაკვეთებსა და იმ ობიექტებზე,

რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიჩნევა დაუმთავრებელ მშენებლობად, შემდეგი პირობით:

- „ამ მუხლით დადგენილი რეგულირება არ ვრცელდება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ/გადაცემულ მიწის ნაკვეთებსა და იმ ობიექტებზე, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიჩნევა დაუმთავრებელ მშენებლობად. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ პუნქტის ამოქმედებამდე წარმოშობილი ურთიერთობის ფარგლებში, მოთხოვნილი საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 75%-ს.“

ბატონმა ოთარმა ასევე მიუთითა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას და არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის დამატების საკითხი.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემა ჯუბა ყანდარელმა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე-4 საკითხად განსაზღვრული, „სს „საქართველოს ბანკის“ (ს/ნ 204378869) საქმესთან დაკავშირებით რიგი ლონისძიებების გატარების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას გააფორმოს მორიგების აქტი სს „საქართველოს ბანკს“ და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის, ასევე, თანხმობის მიცემას - შეთანხმების გაფორმებაზე სს „საქართველოს ბანკს“, სს „თიბისი ბანკს“ და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის.

როგორც ჯუბა ყანდარელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 21 სექტემბრის N18.786.1154 განკარგულებით, სს „საქართველოს ბანკი“ განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო

გადაყვანისას, აკრეთვე საბაგირო გზით „რიყე ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფებით მოსარგებლე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და ავტორიზებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების და ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული სტუდენტების სამგზავრო პლასტიკური ბარათებით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ უფლებამოსილ სუბიექტად და უფასო და შეღავათიანი სამგზავრო ტარიფებით მოსარგებლე ამავე კატეგორიის პირებისთვის საბანკო ბარათების (რომლის გამოყენებაც ზემოხსენებული კატეგორიების პირებს შეეძლებათ, მათ შორის, სამგზავრო პლასტიკური ბარათის სახით) არაექსკლუზიურად გამოცემაზე უფლებამოსილ პირად 2018 წლის პირველი ოქტომბრიდან.

მომხსენებელმა ასევე მიუთითა, რომ სს „საქართველოს ბანკის“ წარმომადგენელმა 2018 წლის 24 ოქტომბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიმართ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 21 სექტემბრის N18.786.1154 განკარგულების ბათილად ცნობა და ქალაქ თბილისის მერიისა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ დავალდებულება „საქართველოს ბანკისთვის“ გადაეცა მომსახურების გაწევისთვის საჭირო ფორმით 2017 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულების მოქმედების ვადის მთელ პერიოდზე, უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე ყველა კატეგორიის მოქალაქეთა მონაცემები, მათ შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებით გათვალისწინებული მონაცემები, ვინაიდან, მოსარჩელის მოსაზრებით, იგი უფლებამოსილი იყო არა მხოლოდ, ქალაქ თბილისის მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებით განსაზღვრული საბანკო ბარათების გამოცემაზე, არამედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილების თანახმად განსაზღვრული უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე ყველა კატეგორიის მოქალაქეისათვის დაემზადებინა საბანკო ბარათები, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით კი დაკმაყოფილებულ იქნა მოსარჩელე სს „საქართველოს ბანკის“ სარჩელი.

მომხსენებელმა ისაუბრა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში გამოთქმულ შემდეგ მოსაზრებაზე:

- მომსახურების გამწევს მგზავრობის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული საგადახდო მომსახურების მიზნით, ინტერესეთა გამოხატვის დოკუმენტის, ასევე, ხელშეკრულების შესაბამისად, უნდა უზრუნველეყო საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის „გადახდის ღია სისტემის“ მოწყობა, შესაბამისად, მომსახურების გამწევმა იკისრა საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის ღია სისტემაში სხვა ბანკების მიერ დამზადებული საბანკო ბარათების დაშვების ვალდებულება, ამასთან, ხელშეკრულების 15.11 პუნქტით ბანკმა იკისრა გადახდის ახალ სისტემაში უკვე

არსებული სატრანსპორტო ბარათების ჩართვის ვალდებულება, ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტის 12.2.7 პუნქტითა და ხელშეკრულების 8.4.19 პუნქტით განისაზღვრა მომსახურების გამწევის ვალდებულება უზრუნველყო არსებული სახელობითი სატრანსპორტო ბარათების ახალ სისტემაში მიგრაცია და ასევე, შეღავათით მოსარგებლე კატეგორიის პირებისთვის პირველი სახელობითი სატრანსპორტო ბარათის დამზადება;

- ამასთან, მომსახურების გამწევს 2017 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულების დადების შემდეგ სხვა პირის მიერ დამზადებული სატრანსპორტო ბარათის გადახდის ახალ სისტემაში დაშვების ვალდებულება არ უკისრია, ახალ სისტემაში ასეთი სატრანსპორტო ბარათის ჩართვის გარეშე კი შეუძლებელი იქნება მისი ფუნქციონირება, აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „სატრანსპორტო კომპანია“ ვალდებული იყო გადაეცა მხარის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

მომხსენებლის მითითებით, აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის მერიის და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, ამასთან, დასმინა, რომ სს „საქართველოს ბანკის“ წარმომადგენელმა 2021 წლის 26 ივნისს განცხადებით, ზემოაღნიშნული დავის მორიგებით დასრულების წინადადებით, გამოხატა მზაობა, რომ კომერციულ საბანკო დაწესებულებას, გონივრულ პირობებზე შეთანხმების საფუძველზე, საშუალებას მისცემს, რომ უფლებამოსილი ბანკის მიერ გაცემული საბანკო პლასტიკური ბარათის ან გადახდის სხვა საშუალებების მფლობელმა პენსიონერებმა ისარგებლონ უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით ბანკის მიერ, ზემოაღნიშნული უფლების განხორციელების მიზნით, მოსარჩელემ საშუალება უნდა მისცეს უფლებამოსილ ბანკს, ხელშეკრულების მე-9 მუხლით დადგენილი და მოსარჩელესა და უფლებამოსილ ბანკს შორის დამატებით განსაზღვრული გონივრული პირობების საფუძველზე, ჩაერთოს საზოგადოებრივ ტრანსპორტში გადახდის ღია სისტემაში, მოსარჩელე ასევე აცხადებს და ადასტურებს, რომ აღნიშნულ პირობასთან დაკავშირებით, მოსარჩელეს, მოპასუხების წინაშე არ აქვს და არც მომავალში წარმოუშობა რაიმე პრეტენზია ან/და მოთხოვნა.

აუბა ყანდარელმა კომისიის წევრებს გააცნო პროექტთან დაკავშირებული სამართლებრივი ფაქტები/გარემოებები და აღნიშნა შემდეგი:

- მოსარჩელემ დაადასტურა, რომ მუნიციპალიტეტს აქვს უპირობო და შეუზღუდავი უფლება, განსაზღვროს ჯერადი და ვადიანი აბონიმენტების პირობები და გამოუშვას ამგვარი აბონიმენტი ხელშეკრულების 1.10 პუნქტით განსაზღვრულ საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის;
- მორიგების აქტის მიხედვით მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი ჯერადი და ვადიანი აბონიმენტების დამზადების, გაცემის და შემდგომი ტექნიკური მართვის უფლებამოსილება ენიჭება მხოლოდ მოსარჩელეს, მისი სერვის-ცენტრების, გადახდის აპარატების ან სხვა საშუალებებით;
- სს „საქართველოს ბანკი“ აცხადებს, რომ რეზიდენტ და არარეზიდენტ საბანკო დაწესებულებებს საშუალებას მისცემს, რეზიდენტი და არარეზიდენტი საბანკო დაწესებულებების მიერ გაცემული საბანკო პლასტიკური ბარათის ან გადახდის სხვა საშუალებების (გარდა სატრანსპორტო ბარათისა, რომლის გამოცემაზე და მართვაზე უფლებამოსილია მოსარჩელე) მფლობელებმა ისარგებლონ მუნიციპალიტეტის მიერ გამოცემული ჯერადი და ვადიანი აბონიმენტებით ხელშეკრულების 1.10 პუნქტით

განსაზღვრულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ამასთან, რეზიდენტი და არარეზიდენტი საბანკო დაწესებულებების მიერ, ზემოაღნიშნული უფლების განხორციელების მიზნით, მოსარჩელემ საშუალება უნდა მისცეს რეზიდენტ და არარეზიდენტ საბანკო დაწესებულებებს, ხელშეკრულების მე-9 მუხლით დადგენილი და მოსარჩელის მიერ დამატებით განსაზღვრული გონივრული პირობების საფუძველზე, ჩაერთონ საზოგადოებრივ ტრანსპორტში გადახდის ღია სისტემაში ხელშეკრულების 1.10 პუნქტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში;

▪ მოსარჩელე ადასტურებს, რომ სხვა რეზიდენტ და არარეზიდენტ კომერციულ ბანკებს აქვთ უფლება, შეუზღუდავად, თავიანთი შეხედულებისამებრ, საკუთარი ხარჯითა და რისკით განსაზღვრონ ჯერადი და ვადიანი აბონიმენტების პირობები და გამოუშვან ამგვარი აბონიმენტები, ხოლო მოსარჩელე ვალდებულია, ხელშეკრულებით დადგენილი პირობების საფუძველზე, ამგვარი ჯერადი და ვადიანი აბონიმენტები ჩართოს საზოგადოებრივ ტრანსპორტში გადახდის სისტემაში ხელშეკრულების 1.10 პუნქტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

ჯუბა ყანდარელმა ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულების მოქმედების ვადის მთელ პერიოდზე, N20-81 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტებით დადგენილი კატეგორიების მქონე პირებთან დაკავშირებით, N6-25 დადგენილებით გათვალისწინებული მონაცემები, მომსახურების გაწევისათვის საჭირო ფორმით, გადასცენ მოსარჩელეს, ხოლო, N20-81 დადგენილებით განსაზღვრული სხვა კატეგორიის მქონე პირების მონაცემებთან მიმართებით, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყონ მოსარჩელეს შესაბამისი მონაცემების N6-25 დადგენილების მე-5 მუხლით განსაზღვრული პირებისგან მოპოვებაში, ხოლო, მოსარჩელე, იღებს ვალდებულებას, შესაბამისი ინფორმაციის მიღების მიზნით, ამ მორიგების აქტის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში მიმართოს N6-25 დადგენილების მე-5 მუხლით განსაზღვრული პირებს, ხოლო მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას, მოსარჩელის მიერ N6-25 დადგენილების მე-5 მუხლით განსაზღვრული პირებისგან ინფორმაციის შეთანხმებული ფორმით მოპოვებამდე, უზრუნველყოფენ შესაბამისი კატეგორიის პირებისათვის სამგზავრო პლასტიკური ბარათის დამზადებას და გაცემას.

მომხსენებელმა ასევე მიუთითა, რომ მორიგების აქტის მიხედვით, თბილისის საპელაციო სასამართლოში მიმდინარე დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით, მორიგების დამტკიცების გზით. მხარეები თანხმდებიან, რომ ისინი უარს ამბობენ დავის ფარგლებში ყველა სახის მოთხოვნასა და უფლებაზე და მათ არ აქვთ უფლება ხელმეორედ მიმართონ სასამართლოს დავაზე იმავე მხარეებს შორის, არსებითად იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

ჯუბა ყანდარელმა მოხსენების მიწურულს ასევე აღნიშნა, რომ 2019 წლის 30 იანვარს სს „თიბისი ბანკმა“ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და იშუამდგომლა N3/6667-18 ადმინისტრაციულ საქმეში მესამე პირად ჩაბმა, რაც არ დაკმაყოფილდა აღნიშნული სასამართლოს 2019 წლის 27 სექტემბრის განჩინებით, რაც სს „თიბისი ბანკის“ მიერ გასაჩივრდა კერძო საჩივრით თბილისის საპელაციო სასამართლოში, თუმცა, ბანკმა 2021 წლის 23 მარტს განცხადებით მიმართა თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 სექტემბრის განჩინებაზე წარდგენილ კერძო საჩივრაზე უარის თქმის შესახებ, რაც

დაკმაყოფილდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2021 წლის 24 მარტის განჩინებით (საქმე N3ბ/115-21).

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის დამატება, ხოლო, განკარგულების პროექტის პირველ და მე-2 მუხლებში განკარგულების პროექტის შესაბამის დანართებზე მითითების აუცილებლობა, ამასთან, განკარგულების პროექტის პირველი და მე-2 მუხლების შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ქორქოლიანმა მოსაზრება გამოთქვა წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროექტის მიღება გამართლებულია და მისაღები იმ თვალსაზრისით, რომ აღმოიფხვრება არსებული უზუსტობანი და სირთულეები, რაც არსებობს ხელშეკვრელ მხარეებს შორის, შედეგად კი, ადგილი ექნება დავის მოგვარებას და მოქალაქეებიც შეუფერხებლად ისარგებლებენ შესაბამისი სერვისით.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე მიუთითა, რომ მიუხედავად აღნიშნული არგუმენტისა, სასურველი იქნებოდა სამართლებრივი პროცესები გაგრძელებულიყო შესაბამის სასამართლო ინსტანციაში, დავის სასამართლო წესით გადაწყვეტის მიზნით, იმ თვალსაზრისით, რომ პროცესი მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ დასრულების მხრივ ატარებდა პერსპექტიულ ხასიათს. თუმცა, აქვე დასძინა, რომ დავის მორიგებით დასრულება, მისაღებია, ადმინისტრაციული თუ ადამიანი რესურსის დაზოგვის და რაც მთავარია მოქალაქეებისათვის სერვისის შეუფერხებლად და დროულად მიწოდების თვალსაზრისით.

ლევან ქორქოლიანმა ასევე მიუთითა, რომ წარმოდგენილი რედაქციით არსებული ხელშეკრულების პირობები ატარებს არსებულთან შედარებით დაზუსტებულ ხასიათს, რაც შემდგომში, მსგავსი ხასიათის ხელშეკრულებების გაფორმების დროს იქნება სანიმუშო მაგალითი ხარვეზებისა და გაუგებრობების თავიდან არიდების მიზნით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე – 5 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკონსულტაციო განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ითვალისწინებს, შემდეგ ღონისძიებებს:

1. „ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუსი N1-სა და კორპუსი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027) მდებრე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკონსულტაციოს 2021 წლის 2 ივლისის N270 განკარგულების მალადაკარგულად გამოცხადებას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 23 ივნისის N21.858.960 განკარგულების დანართი N1-ში, რიგით მე-8 და მე-9 ნომრებად განსაზღვრულ მოქალაქეთა: სოფიო ხვედელიძის(პ/ნ: N01027030370) და კახაბერი ხვედელიძის(პ/ნ: N01027034160) ნაწილში;

2. ქალაქ თბილისის მთავრობისათვის, ქალაქ თბილისის საკონსულტაციო მიერ, თანხმობის გაცემას, თბილისის მთავრობის 2021 წლის 28 ივლისის N21.1052.1161 განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემდეგ საკითხზე: ზემომითითებულპირებს, პირდაპირ განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცეთ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება: მოქალაქესოფიო ხვედელიძეს(პ/ნ: N01027030370) ქ.თბილისი, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუსი N1, მე-4 სართულზე მდებარე, 86.47 კვ.მ. ბინა N43 (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027.01.048) და მოქალაქე კახაბერი ხვედელიძეს (პ/ნ: N01027034160) ქ.თბილისი, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუსი N1, მე-3 სართულზე მდებარე, 89.07 კვ.მ. ბინა N31 (საკადასტრო კოდი: 01.19.20.026.027.01.031);

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან უორჯოლიანმა ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შემდეგ შენიშვნებზე:

- მიზანშეწონილია პროექტის სათაურში, საკონსულტაციოს 2021 წლის 2 ივლისის N270-ე განკარგულების სათურის მითითების ნაწილში, გასწორებულ იქნას არსებული ტექნიკური ხარვეზები და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით;
- პროექტის სამართლებრივ საფუძვლებიდან ამოღებულ იქნას „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკონსულტაციოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პუნქტის თანახმად, საპრივატიზებო პირობებს განსაზღვრავს ქ. თბილისის მთავრობა და ითანხმებს თბილისის საკონსულტაციოს, ხოლო, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი არ ითვალისწინებს უძრავი ქონების გადაცემისათვის საპრივატიზებო პირობებს;

- პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას ასევე ქალაქ თბილისის მთავრობის 2021 წლის 28 ივლისის N21.1052.1161 განკარგულება, რითაც ცვლილება შევიდა თბილისის მთავრობის 2021 წლის 23 ივნისის N21.858.960 განკარგულებაში.
- პროექტის პირველი პუნქტი გასწორებულ იქნას სტილისტური თვალსაზრისით გადასაცემი უმრავი ქონებისა და დაინტერესებულ პირთა ნაწილში და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით;
- პროექტის მე-2 პუნქტში სწორი ფორმით მიეთითოს ქალაქ თბილისის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N270-ე განკარგულების სათაური, ასევე, აღნიშნული პუნქტში დაემატოს თბილისის მთავრობის 2021 წლის 23 ივნისის N21.858.960 განკარგულების დანართი N1-ის მითითება, ამასთან, პროექტის მე-3 პუნქტი გაიმართოს სტილისტური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ზემომითითებული შენიშვნების გათვალისწინებით გასწორდება წარმოდგენილ განკარგულების პროექტის რედაქცია, რაც დანართის სახით დაერთვება კომისიის მიერ მომზადებულ დასკვნას.

აღსანიშნავია, რომ საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა კომისიის მიერ მითითებული შენიშვნები და მისაღებად მიიჩნია კომისიის მიერ რედაქტირებული ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს (შესწორებულ რედაქციას) და მითითებული შენიშვნებით გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 6 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, გლდანში, მე-7 მ/რ, კორპუს N22-ში, პირველ სართულზე, მდებარე 79.98 კვ.მ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უმრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ნათელა გობეჯიშვილისთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომზადებელმა კომისიის წევრებს მიაწოდა საკითხთან დაკავშირებით შემდეგი სახის ინფორმაცია:

- გლდანის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ნათელა გობეჯიშვილმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, გლდანში, მე-7 მ/რ, კორპუს N22-ში მდებარე, ხანგრძლივი

დროის მანძილზე, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოსთან შუამდგომლობის გაწევა, თავის მხრივ, გლდანის რაიონის გამგეობამ, საკითხის შესწავლის შემდგომ შუამდგომლობებით მიმართ სიპ - ქონების მართვის სააგენტოს, მოქალაქისათვის ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებასთან დაკავშირებით და წარუდგინა გამოკვლეული დოკუმენტაცია;

▪ დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში 1996 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ხაძალადევის მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტაცია, აღნიშნულ ფაქტს ასევე ადასტურებენ შესაბამისი მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული აქტებით;

▪ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ნათელა გობეჯიშვილს საკუთრებაში ერიცხებოდა ქალაქ თბილისში, გლდანის მე-5 მ/რ, კორპუს N10-ში მდებარე ბინა N98 და დუშეთის რაიონში სოფელ არაგვისპირში 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომლებიც გაასხვისა 2008-2015 წლებში, ასევე, ერიცხებოდა, ონში, სოფელ გლოლაში N88.02.22.234 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1708 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო 882020283990 და 882020973655 წარმოებებით მიმდინარეობს 792 და 217 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სპორადული რეგისტრაციები. სხვა ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის;

▪ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, ნათელა გობეჯიშვილი და მისი ოჯახის წევრები დევნილად რეგისტრირებული არ არიან.

მარიამ კვერნაძემ დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკურებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით გამართვა და პროექტის პირველ პუნქტში მთავრობის განკარგულების მითითების ნაწილში ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს (შესწორებულ რედაქციას) და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკურებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 7 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკორებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. კოდი: 01.18.12.010.007.01.040) მოქალაქე გოჩა ზეინკლიშვილისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე თბილისის საკორებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო საკითხთან დაკავშირებით არსებული ინფორმაცია:

- კრწანისის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე გოჩა ზეინკლიშვილმა და ითხოვა, მისივე მითითებით, 2002 წლიდან მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული N40-ის პრივატიზებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, აქვე დასძინა, რომ განმცხადებლისვე მითითებით, მისი ოჯახი მიწისძვრით დაზარალებული და მისმა ოჯახმა გაიღო აღნიშნული ბინის რემონტისა და მოვლა-პატრონობის ხარჯები;
- მოქალაქე გოჩა ზეინკლიშვილს მიღებული აქვს მონაწილეობა 1993 წელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში;
- დაინტერესებული პირის მიერ 2003 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის IX სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტი, ხოლო, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „იმედის“ 2021 წლის 13 მარტის ოქმით დასტურდება აღნიშნულ მისამართზე 2002 წლიდან ცხოვრების ფაქტი; აღნიშნულს ასევე ადასტურებს გამგეობის მიერ შემოწმების შედეგები;
- „ინდ. მეწარმე დამოუკიდებელი ექსპერტი, აუდიტორი „დავით რობაქიძის“ 2021 წლის 7 აპრილის ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება მოქალაქე გოჩა ზეინკლიშვილის მიერ მრავალმხრივი სარემონტო აღდგენითი სამუშაოების ჩატარება მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ უძრავი ქონებასთან დაკავშირებით. გაწეულმა საერთო ხარჯმა შეადგინა 26 633.63 ლარი;
- უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებით ა(ა)იპ „2002 წლის 25 აპრილს ქ. თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სპეციალურმა ფონდმა“ ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულს საკუთრებაში გადასცა ფონდის შემადგენლობაში არსებული უძრავი ქონება, მათ შორის: ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N28-ზი მდებარე უძრავი ქონება. განმცხადებელმა 2004 წლის 17 მარტის განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ფონდს მიმართა და ითხოვა აღნიშნული უძრავი ქონების პირად საკუთრებაში გაფორმება;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირის ოჯახის წევრების სახელებზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის, ხოლო, გოჩა ზეინკლიშვილის საკუთრების უფლება რეგისტრირებულია ქალაქი თბილისი, ქუჩა ბეთლემი, №39-ზი, N01.18.03.072.120.01.506, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 15 კვ.მ ფართის სარდაფზე.

მომხსენებლის მითითებით, გოჩა ზეინკლიშვილი და მისი ოჯახის წევრები აცხადებენ თანხმობას - ზემოაღნიშნული ბინის მიღების სანაცვლოდ მომავალში მას და მის ოჯახის წევრებს პრეტენზია არ ექნება სახელმწიფოს/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ, როგორც მიწისძვრით დაზარალებული პირებს ქონების საკუთრებაში მიღებასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კრწანისის რაიონის გამგებელმა წერილობითი შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და დაინტერესებული პირისათვის თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების ფართობად ნაცვლად 30 კვ. მ.-ისა განისაზღვროს - 54.22 კვ. მ., ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 ივლისის N 21.1037.1087 განკარგულებაში აღნიშნული უძრავი ქონება განსაზღვრულია 54.22 კვ. მ. ფართით და ასევე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის მიხედვით, უძრავი ქონების (ს/კ 01.18.12.010.007.01.040) ფართი განსაზღვრულია 54.22 კვ. მ. კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია ასევე, პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 8 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. სართული 62.69 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.20.030.010.01.513) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად მოქალაქე მაყვალა ონიანისთვის პრივატიზების საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებელმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე მაყვალა ონიანმა და ითხოვა მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული, ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, მე-6 კვარტლის კორპუს N9-ში მდებარე უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა;

დაინტერესებული პირის მიერ 2003 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის I განყოფილების მიერ შედგენილი დოკუმენტაცია, მოქალაქეთა სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება და სამგორის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტი;

საჯარო რეესტრის ინფორმაციით, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებლის მითითებით, სამგორის რაიონის გამგეობამ წერილობით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა დევნილის სტატუსის არმქონე პირისათვის, ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზება, ხოლო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის სათაურის გასწორება და შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტება:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინება:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წერიგის, რიგით მე - 9 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე: ქ. თბილისი, ლილოს დასახლება, მე-4 კვარტალი კორპუს N3ა, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად შემდეგ პირებისათვის პრივატიზების საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას:

1. მოქალაქე მაია სხირტლაძეს გადაეცემა – ქ. თბილისში, ლილოს დასახლებაში, მე-4 კვარტლის კორპუს N3ა-ში, პირველ სართულზე მდებარე 65.52კვ.მ ფართის ბინა N35 (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.026.01.035)უძრავი ქონება;

2. მოქალაქე დარეჯან მაღლაკელიძეს გადაცემა - ქ. თბილისში, ლილოს დასახლებაში, მე-4 კვარტლის კორპუს N3a-ში, პირველ სართულზე მდებარე 81.77 კვ.მ ფართის ბინა N36 (სავადასტრო კოდი: N01.19.27.007.026.01.036) უძრავი ქონება.

მომხსენებელმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებით არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებებით მიმართეს უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულმა ზემოაღნიშნულმა პირებმა და ითხოვეს მათ ფაქტობრივ მდგრობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა;
- მოქალაქე მაია სხირტლაძის ზემოაღნიშნულ მისამართზე 2003 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის მე-4 სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტაცია, რის მიხედვითაც, ხოლო, სამგორის რაიონის გამგეობის მიერ შედგენილი შემოწმების აქტით მოქალაქე მაია სხირტლაძე მისამართზე ცხოვრობს 1999 წლიდან, ამასთან, მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით ადასტურებენ აღნიშნული პირის 1996 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას;
- დარეჯან მაღლაკელიძის მისამართზე 2003 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, სამგორის რაიონის გამგეობის მიერ შედგენილი შემოწმების აქტი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის მე-4 სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტაცია, ხოლო მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით ადასტურებენ აღნიშნული პირის 1996 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირებისა და მათი ოჯახის წევრების სახელებზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხის გამოვლევის შემდგომ, გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, დევნილის სტატუსის არმქონე პირთათვის ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 10 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის საკურარგულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქი მუნიციპალიტეტის საკურარგულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, გმირი კურსანტების მე-2 შესახვევის №3 (საკადასტრო კოდი № 01.11.05.030.005) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, სიმბოლურ ფასად - 1(ერთ) ლარად შემდეგ პირთათვის: კახაბერ დარბაძე - 52.4 კვ.მ., მაგული პაპიძე - 46.1 კვ.მ., მავა თაბბილაშვილი - 37.16 კვ. მ., მამუკა მამუკელაშვილი - 53.45 კვ.მ. და ნინო აბუევი - 60.6 კვ.მ. პრივატიზების საკითხზე თბილისის საკურებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო საკითხთან დაკავშირებით არსებული შემდგირ ფაქტობრივი გარემოებანი:

- ზემოაღნიშნულმა მოქალაქეებთა განცხადებებით მიმართეს გლდანის რაიონის გამგეობას მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად პრივატიზებასთან დაკავშირებით, უფლებამოსილ ორგანოსთან შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით, გამგეობამ საკითხის შესწავლის შემდგომ, შუამდგომლობით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს;
 - დაინტერესებულ პირთა მიერ 1998 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის X განყოფილების მიერ შედგენილი დოკუმენტაცია და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „დიოსკურიას“ სანოტარო წესით დამოწმებული კრების ოქმი №1;

მომხსენებელმა ასევე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობაშ იმსჯელა და გადაწყვიტა, ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-2 შესახვევის № 3-ში მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრებ პირთათვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მართამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე – 11 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი

თბილისი, ხოშარაულის ქუჩა N29, მე-2 სართულზე მდებარე 14.60 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.13.05.004.034.08.500) უძრავი ქონების მოქალაქე ანდრო ლაბაძისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

საკითხის მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო შემდეგი სახის ფაქტობრივი გარემოებანი:

- დიდუბის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ანდრო ლაბაძემ და ითხოვა მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ხოშარაულის ქუჩა N29 (საკადასტრო კოდი: N01.13.05.004.034.08.500) 14.60 კვ.მ ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოსთან შუამდგომლობის გაწევა;
- დაინტერესებული პირის მიერ 30-35 წლის განმავლობაში ცხოვრების ფაქტის ხანგრძლივობას ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტაცია, ამასთან, მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით ადასტურებენ ანდრო ლაბაძის ზემოაღნიშნულ მისამართზე 1981 წლიდან ცხოვრების ფაქტს, რასაც ასევე ადასტურებს, ბმა „ხოშარაული 2008-ის“ კრების ოქმი.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მოქალაქე ანდრო ლაბაძის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დიდუბის რაიონის გამგებელმა წერილობითი შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა, მოქალაქე ანდრო ლაბაძისათვის ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქ თბილისი, ხოშარაულის ქუჩა N29-ში, მე-2 სართული, 14.60 კვ.მ ფართის სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად პრივატიზებასთან დაკავშირებით, ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბებისა და პროექტის პირველ პუნქტში არსებული ტექნიკური ხარვეზების გასწორების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის

მომხსენებელმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- დიდუბის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ბადრი ვაწაძემ და ითხოვა მის მიერ ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების პრივატიზებასთან ითხოვა მის მიერ ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოსთან შუამდგომლობის გაწევა;
 - დაინტერესებული პირის მიერ 1992 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტაცია, ასევე, მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერები;
 - ნოტარიულად დამოწმებული ამხანაგობა „დილმის მასივი 14ა“-ს კრების ოქმი #3-ით, კრებაზე დამსწრე 85 წევრი ადასტურებს, რომ შესაბამის მოქალაქეებს დაკავებული აქვთ ფართები 1994 წლიდან და ახადებენ თანხმობას, რომ მოხდეს დაკავებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა;
 - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ელექტრონული წიგნის მონაცემებით ბადრი ვაწაძის სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დიდუბის რაიონის გამგეობამ წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მერს, უძრავი ქონების მოქალაქისათვის პრივატიზების მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ხოლო აღნიშნულის განხორციელების შემდგომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, ვინაიდან, წარმოდგენილი საკითხი საკურებულოსთან შეთანხმების საგანს წარმოადგენს, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის სათაური შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის
მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი,
სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 13 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის
სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 13 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქი
თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი
თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა N319, საკადასტრო კოდი: N01.12.11.001.005, 10 (ათი)
თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა N319, საკადასტრო კოდი: N01.12.11.001.005, 10 (ათი)
მოქალაქისათვის, (საერთო ჯამში გადაეცემათ 425.06 კვ.მ ფართი) პირდაპირი განკარგვის
წესით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე თბილისის
წესით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების სახით:
საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას შემდეგი სახით:

- მოქალაქე გიორგი გაბუნიძეს - გადაცემა პირველ სართულზე, 57.01 კვ.მ, ოჯახი შედგება

5 (ხუთი) წევრისაგან;

- მოქალაქე გიორგი მალაციძეს - გადაეცემა პირველ სართულზე 138.2 კვ.მ. ოჯახი შედგება

3 (სამი წევრისაგან);

- მოქალაქე დავითი სიბაშვილს - გადაეცემა პირველ სართულზე, 31.62 კვ.მ; ოჯახის

შედგება 5 (ხუთი) წევრისაგან;

- მოქალაქე დავით ხაბულიანს - გადაეცემა მე-2 სართულზე, 48.66 კვ.მ.; ოჯახი შედგება 4

(ოთხი) წევრისაგან;

- მოქალაქე ლანა ჭუმბურიძეს - გადაეცემა მე-2 სართულზე, 14.63; ოჯახი შედგება 3

წევრისაგან;

- მოქალაქე მარინე ბერაძეს - გადაეცემა მე-2 სართულზე, 14.13 კვ.მ. ოჯახი შედგება 3

წევრისაგან;

- მოქალაქე ნინო კვანტალიანს - გადაეცემა მე-2 სართულზე, 32.57 კვ.მ.

- მოქალაქე ნონა გაბუნიძეს - გადაეცემა პირველ სართულზე, 39.5 კვ.მ. ოჯახი შედგება 5

წევრისაგან;

- მოქალაქე პარმენ ჯანჯლავას - გადაეცემა მე-2 სართულზე, 10.51 კვ.მ; ოჯახი შედგება 6

წევრისაგან;

- მოქალაქე ქეთევან ნოზაძეს - გადაეცემა პირველ სართულზე, 38.23 კვ.მ. ფართი ოჯახი

შედგება 4 წევრისაგან;

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგებელმა, წერილობით
მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N319-ში
არსებულ შენობაში ფაქტობრივად, ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრებ მოქალაქეთა
მიერ წარდგენილი განცხადებების საფუძველზე, შესაბამის პირთათვის საცხოვრებელი
ფართების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის
მიზნით ამასთან, სააგენტოს გამგეობის მიერ წარედგინა უძრავი ქონების გადაცემით
დაინტრესებულ პირთა შესახებ მოკვლეული ინფორმაცია;

- უძრავი ქონების გადაცემით დაინტრესებულ პირთა 20 წლის განმავლობაში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს VIII განყოფილების მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, ასევე ნაძალადევის რაიონის გამგეობის ნაძალადევის საუბნო განყოფილების ადგილზე შემოწმების ოქმი, რის თანახმადაც, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული პირები, საცხოვრებელ ფართებში ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრობდნენ 1998 წლიდან, რასაც ასევე ადასტურებს ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ც. დადიანის 319“ 2020 წლის 5 ივლისის 100%-იანი კრების ოქმი;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, 2020 წელს გაცემულ წერილებზე დაყრდნობით, დაინტერესებულ პირთა სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის;

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ, საკითხი იქნა მოწოდებული და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

1. კომისიის თავმჯდომარემ მიუთითა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებიდან ამოღებულ იქნას „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 ავგისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პუნქტის თანახმად, საპრივატიზებო პირობებს განსაზღვრავს ქ. თბილისის მთავრობა და ითანხმებს თბილისის საკრებულოს, ხოლო, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი არ ითვალისწინებს უძრავი ქონების გადაცემისათვის საპრივატიზებო პირობებს, ამასთან, პროექტის პირველი პუნქტი გაიმართოს სტილისტურად და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა კომისიის მიერ მითითებული შენიშვნები.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 14 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, ქუჩა გორგასალი № 28, პირველ სართულზე მდებარე 85.56 კვ. მ., მე-2 სართულზე მდებარე 84.19 კვ. მ (საკადასტრო კოდი № 01.20.01.135.009.01.501) და 87.60 კვ. მ ნახევარსარდაფის (საკადასტრო კოდი № 01.20.01.135.009.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად მოქალაქე მანანა ფორმით პრივატიზების გზით, საკითხის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას. კვესელავასთვის პრივატიზების საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსნებელმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- მანანა კვესელავამ განცხადებით ვაკის რაიონის გამგეობას მის მიერ დაკავებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევის თხოვნით; ხოლო გამგეობამ, საკითხის კვლევის შემდგომ მიმართა სსიპ- ქონების მართვის სააგენტოს;
- დაინტერესებული პირის მიერ 1993 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტი, ამასთან, გამგეობის წყნეთის საუბნო განყოფილების წერილით, მანანა კვესელავა ოჯახთან ერთად 1992 წლიდან ცხოვრობს მისამართზე;

მომხსნებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, მოქალაქე მანანა კვესელავასთვის ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, სათაურს დაემატოს სიტყვები „საკითხის შეთანხმების“ და აღნიშნულთან ერთად, გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომები პროექტის პირველ პუნქტშიც.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების წევრებმა ერთხმად დაუჭირეს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 15 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, გუდამაყრის შესახვევი N2-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.004.012) მდებარე

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 15 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, გუდამაყრის შესახვევი N2-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.07.004.012) მდებარე

უმრავი ქონების, შემდეგ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას:

- ნიკა ქიტოშვილს – 59.71 კვ.მ გენადი ხორავა – 35.06 კვ.მ, გურამი მღებრიშვილს – 62.57 კვ.მ, დავით მიროტაძეს – 41.55 კვ.მ, ზურაბი მურალაშვილს – 49.16 კვ.მ, ინგა მაისურაძეს – 26.69 კვ.მ, ლია საავაშვილს 30.55 კვ.მ მარიამ ბრეგვაძეს 62.07 კვ.მ, ნათია პაპავას 20.86 კვ.მ და ნიკო ლომინაშვილს 40.41 კვ.მ. საერთო ჯამში გადაეცემათ 428.63 უმრავი ქონება.

მომხსნებელმა აღნიშნა, რომ ნაძალადევის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართეს ზემოაღნიშნულმა მოქალაქეებმა და ითხოვეს, მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, პრივატიზებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, თავის მხრივ, გამგეობაში საკითხის პლევის შემდგომ შუამდგომლობის მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს;

მომხსნებელმა ასევე აღნიშნა, რომ დაინტრესებული პირთა მიერ უმრავ ქონებაში 2012 - 2014 წლებიდან დღემდე ცხოვრების ფაქტს ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლოდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის VIII განყოფილების მიერ გაცემული დოკუმენტაცია, მეზობლები ნოტარიული თანხმობებით ადატურებენ დაინტერესებულ პირთა 2012 წლიდან ცხოვრების ფაქტს, ამასთან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მომხსნებელმა ასევე დასმინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკურებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 16 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი №1-ში (საკადასტრო კოდი № 01.11.05.013.036) მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად

მოქალაქეებისათვის: რაჯაბ თინაძეს - 41.78 კვ. მ., ტახირ ნადირაძეს - 56.7 კვ.მ. და ჯალილ შაგანიძეს- 70.63 კვ. მ. პრივატიზების საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- დაინტერესებულ პირებმა განცხადებებით მიმართეს გლდანის რაიონის გამგეობას მათ მიერ დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად პრივატიზების მიზნით უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, ხოლო, გამგეობამ საკითხის კვლევის შემდგომ წერილობით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის X განყოფილების მიერ გაცემული წერილებით, რაჯაბ თინაძე 1995 წლიდან, ტახირ ნადირაძე 1993-1995 წლებიდან, ხოლო ჯალილ შაგანიძე 1994 წლიდან, ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ ზემოაღნიშნულ მისამართზე;
- გლდანის ლუწი მიკრო რაიონების საუბნო განყოფილების ინფორმაციით, რაჯაბ თინაძე 1995 წლიდან, ოჯახთან ერთად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „გმირკურსანტა ქ. № 5“ სანოტარო წესით დამოწმებული კრების ოქმებით კი რაჯაბ თინაძე 1995 წლიდან, ხოლო ჯალილ შაგანიძე 1994 წლიდან, ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ ზემოაღნიშნულ მისამართზე;
- მოქალაქეთა სანოტარო წესით დამოწმებული 2021 წლის 23 მარტის განცხადებით, ტახირ ნადირაძე 1995 წლიდან, ოჯახთან ერთად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი № 1-ში მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად ზემოაღნიშნულ პირთათვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 17 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, სამღებროს ქუჩა N13-ში, პირველ სართულზე მდებარე 31.15 კვ.მ ფართის ბინა N13-ის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.064.006.01.013) უძრავი ქონების მოქალაქე ბაბულია მარგიევისთვის (პ/ნ 01011038459) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- კრწანისის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ბაბულია მარგიევმა და ითხოვა მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, პრივატიზებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, მოქალაქე ბაბულია მარგიევი აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 25-35 წელია, ხოლო, ბმა „სამღებროს 13“ კრების ოქმით, მოქალაქეთა სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, კრწანისის რაიონის გამგეობის შემოწმების ოქმით, მოქალაქე ბაბულია მარგიევი აღნიშნულ ფართში ცხოვრობს 20 წელზე მეტია.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილის მიხედვით, მოქალაქე ბაბულია მარგიევის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კრწანისის რაიონის გამგებელმა წერილობითი შუამდგომლობით მიმართაქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, დაინტერესებული პირისათვის უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის სათაური გაიმართოს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 18 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, მე-7 მ/რ კორპუს N7, პირველ სართულზე მდებარე 69.12 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.10.005.013.01.507) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად მოქალაქე მოქალაქე მეგო ჩაჩანიძისთვის პრივატიზების საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებელმა ისაუბრა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

• გლდანის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე მეგი ჩაჩანიძემ თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, აღნიშნულის გათვალისწინებით, გამგეობამ საკითხის კვლევის შემდგომ, წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მერს;

• დაინტერესებული პირის მიერ 1998 - 1999 წლებიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტათ, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ერთობა 2005“-ის კრების ოქმით დასტურდება დაინტერესებული პირის 1998 წლიდან ცხოვრების ფაქტი. რასა ასევე ადასტურებს გლდანის რაიონის გამგეობის - გლდანის კენტი მიკრო რაიონების საუბნო განყოფილების მიერ

• საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მეგი ჩაჩანიძეს და მის მმას, - გიორგი ჩაჩანიძეს თანასაკუთრებაში ერიცხებოდათ ქალაქ თბილისში, ჯანჯღავას მე-6 ქუჩა N1-ში N01.11.05.019.020 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, რომელიც მათ მიერ გასხვისდა 2012 წელს. ასევე, მეგი ჩაჩანიძეს და მისი ოჯახის წევრებს ამჟამად არ უფისირდებათ საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე.

• საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს კუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით დაინტერესებული პირის და მისი ოჯახის წევრები დევნილად რეგისტრირებულნი არ არიან.

• სსიპ სოციალური მომსახურეობის სააგენტოს ამონაწერით, დაინტერესებული პირის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან სიაში.

• დაინტერესებული პირის ოჯახის წევრები თანხმობას აცხადებენ, უძრავი ქონების მეგი ჩაჩანიძის სახელზე პრივატიზებასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა დასმინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის სათაური გაიმართოს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი,

სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 19 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ N01.14.01.001.005.01.515) 1 სართულზე მდებარე 191.26 კვ.მ უძრავი ქონების მოქალაქე ელენე ტყემალაძისთვის, რომელიც 2000 წელიდან ფლობს და სარგებლობს აღნიშნულ უძრავ ქონებას პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებელმა ისაუბრა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

- ვაკის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ელენე ტყემალაძემ და ითხოვა მიერ მიერ ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა;
- შს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული ინფორმაციით, დაინტერესებული პირი 2000 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზემ რასაც ასევე ადასტურებს, ვაკის რაიონის გამგეობის, შესაბამისი საუბრო განყოფილების მიერ გადამოწმების შემდეგები;
- 2019 წლის 16 ოქტომერს გაცემული ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზიდან, სადაც ელენე ტყემალაძის ოჯახს აღნიშნული თარიღის მდგომარეობით მინიჭებული აქვს 99 950 ქულა.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ელექტრონული წიგნის მონაცემებით დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრის სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, ვინაიდან წარმოდგენილი საკითხი საკრებულოსთან შეთანხმების საგანს წარმოადგენს, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის სათაური შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი,

სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 20 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ დაკავშირებით:

- „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 20000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ფონდისთვის“ (ს/კ 405079640) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N306 განკარგულებაში ცვლილების შეტანას, აღნიშნული განკარგულების პირველი პუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებით, N26.13.522 განკარგულების დანართად განსაზღვრული, აღნაგობის პირობების 16.2 პუნქტისა და მე-20 პუნქტის ცვლილებების გათვალისწინებით;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის გაცემა, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული აღნაგობის პირობების 16.2 პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების დარღვევისათვის, „ამავე პირობების 14.2 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული, ჯამში 200 (ორასი) ლარის ოდენობით პირგასამტებლოს გადახდის ვალდებულებისგან ა(ა)იპ „აუტიზმის კვლევისა და ხელისშეწყობის ფონდის“ (ს/კ 405079640)

„ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „24 საათიანი მონიტორინგის არანაკლებ ერთი კოტეჯის (ორი) წლის ვადაში“;

„ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,,„სასკოლო ტიპის ღია სტადიონის განთავსება და სარეკრეაციო ზონის (გრგ-ის გათვალისწინებით) მოწყობა ხელშეკრულების გაფორმებიდან (ქალაქ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობის მომენტიდან) 3 (სამი) წლის ვადაში“. მომხსენებელმა კომისიი წევრებს მიაწოდა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 19 ივლისის N26.13.522 განკარგულებითა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N306 განკარგულებით დაკამაყოფილდა ა(ა)იპ „აუტიზმის კვლევისა და მართვის სააგენტოს შესაბამისი ბრძანებით პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით გადაეცა ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 20,000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: №01.19.33.019.184) აუტიზმის მქონე პირთათვის სასწავლო/სარეაბილიტაციო კომპლექსის მშენებლობის და მუდმივი პროფილის მქონეს განესაზღვრა შემდეგი ვალდებულებები:

16.1 პუნქტი - გადაცემულ ტერიტორიაზე აუტიზმის მქონე პირთათვის სასწავლო/სარეაბილიტაციო კომპლექსის მშენებლობა სარგებლობის უფლების არაუგვიანეს

10 (ათი) წლის ვადაში, შესაბამისი ინფრასტრუქტურით, არანაკლებ 30 (ოცდაათი) ბენეფიციარისთვის (საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში - ბენეფიციართა მზარდი ტენდენციით);

16.2 პუნქტი - კომპლექსის ფარგლებში შემდეგი ობიექტების აშენება და ექსპლუატაციაში მიღება:

ა) 24-საათიანი მონიტორინგის არანაკლებ ერთი კოტეჯის მშენებლობა და ექსპლუატაციაში მიღება შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 2 (ორი) წლის ვადაში;

ბ) 24-საათიანი მონიტორინგის არანაკლებ მეორე კოტეჯის მშენებლობა და ექსპლუატაციაში მიღება პირველი კოტეჯის ექსპლუატაციაში მიღებიდან 2 (ორი) წლის ვადაში;

გ) ზემოაღნიშნული კოტეჯების სრული მიზნობრივი ფუნქციონირების დაწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობის მომენტიდან) არაუგვიანეს 5 (ხუთი) წლის ვადაში;

დ) ბენეფიციართათვის სოციალური საწარმოების შექმნა, სადაც ზენეფიციარებს საშუალება მიეცემათ ისწავლონ და დასაქმდნენ, ექსპლუატაციაში მიღება და ფუნქციონირების დაწყება შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 3 (სამი) წლის ვადაში.

ე) სასკოლო ტიპის ღია სტადიონის განთავსება და სარეკრეაციო ზონის (გრგ-ის გათვალისწინებით) მოწყობა ხელშეკრულების გაფორმებიდან (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობის მომენტიდან) 3 (სამი) წლის ვადაში.

ვ) დღის ცენტრის ტიპის დაწესებულების აშენება, გარემონტება, ექსპლუატაციაში მიღება და ფუნქციონირების დაწყება შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 5 (ხუთი) წლის ვადაში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულების/აღნაგობის პირობების 16.4 პუნქტის თანახმად, აღნაგობის პირობების 16.1 და 16.2 პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე აღნაგობის უფლების მქონემ უნდა განახორციელოს არანაკლებ 600 000 (ექვსასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობის ინვესტიცია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) წლის ვადაში.

მარიამ კვერნაძის მითითებით, ფონდმა/აღნაგობის უფლების მქონემ 2021 წლის 23 აპრილს განცხადებით მიმართა სააგენტოს და აღნიშნა, რომ ფონდი, რომელიც დაფუძნებულია აუტიზმის მქონე ბავშვების მშობლების მიერ, მიზნად ისახავს მოემსახუროს 16 წლის ზემოთ აუტიზმის მქონე მოზარდებსა და ზრდასრულებს. აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფისთვის საქართველოში და მთლიანად რეგიონში არ არსებობს საჭირო სერვისის მიმწოდებელი ინსტიტუცია. ფონდის წევრები საქმიანობას ახორციელებენ ანაზღაურების გარეშე და ფონდის შემოსავლები მთლიანად დამოკიდებულია შემოწირულობებზე. განცხადებაში ფონდი აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების/აღნაგობის პირობების 16.2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირველი და მე-2 კოტეჯების მშენებლობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის

სამსახურის მიერ მშენებლობის ნებართვა გაიცა 2019 წლის 17 აპრილს, აქედან გამომდინარე, პირველი კოტეჯის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მიღების ვადა დასრულდა 2021 წლის 17 აპრილს, თუმცა COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა პროცესებმა ხელი შეუშალა შესაბამის ვადაში ექსპლუატაციაში მიღების პროცედურების დაწყებას, ამასთან, ვინაიდან ხელშეკრულების/აღნაგობის პირობების 16.2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მეორე კოტეჯის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მიღების 2 (ორი) წლიანი ვადის ათვლა იწყება ექსპლუატაციაში მიღების პროცედურები ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვერ განხორციელდა, ფონდი/აღნაგობის უფლების მქონე ითხოვს მშენებლობის ვადის გახანგრძლივებას.

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ ფონდმა/აღნაგობის უფლების მქონემ 2021 წლის 14 აპრილს მიმართა არქიტექტურის სამსახურს კოტეჯების მშენებლობის ნებართვის გაგრძელების მოთხოვნით. ვინაიდან მშენებლობის ნებართვა გაიცა 2019 წლის 17 აპრილს და ვინაიდან პირველი კოტეჯის ექსპლუატაციაში მიღებიდან და როგორც განცხადებაშია აღნიშნული ექსპლუატაციაში მიღების პროცედურები ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვერ განხორციელდა, ფონდი/აღნაგობის უფლების მქონე ითხოვს მშენებლობის ვადის გახანგრძლივებას.

მომხსენებელმა შეაჯამა ფონდის მიერ გამოთქმული თხოვნა ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით, შემდეგი სახით:

- ხელშეკრულების/აღნაგობის პირობების დარღვევისათვის ხელშეკრულების/აღნაგობის დაკისრებული პირგასამტებლოს პატიებას. 16.2 პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების პირობების 14.2 პუნქტის საფუძველზე
- ასევე, ითხოვს მშენებლობის ვადის გაგრძელებას, კერძოდ: 24 საათიანი კოტეჯების მშენებლობის და ექსპლუატაციაში მიღების ვადად 2024 წლის 31 დეკემბრის განსაზღვრას. დღის ცენტრის ტიპის დაწესებულების მშენებლობის დასრულების ვადად 2026 წლის ივნისის და შენობის ექსპლუატაციაში მიღების და ფუნქციონირების დაწყების ვადად - 2027 წლის 28 სექტემბრის განსაზღვრას. სასკოლო ტიპის და სტადიონის და სარეკრეაციო ზონის მოწყობის ვადად 2027 წლის 28 სექტემბრის განსაზღვრას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისი მთავრობის მიერ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინება ხელშეკრულების/აღნაგობის პირობების 16.2 პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების დარღვევისათვის ხელშეკრულების/აღნაგობის პირობების 14.2 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტებლოს (თითოეული ვალდებულებისათვის 100 ლარის ოდენობით, ჯამში 200 (ორასი) ლარი) გადახდისაგან ფონდის/აღნაგობის უფლების მქონე პირის გათავისუფლების საკითხი, ხოლო, წარმოდგენილი პროექტის თანახმად:

• ცვლილება შედის ხელშეკრულების/აღნაგობის პირობების 16.2 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებში და პირველი და მეორე კოტეჯის მშენებლობისა, ექსპლუატაციაში მიღებისა და ფუნქციონირების დაწყების ვადა განისაზღვრება არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრისა. ასევე, იცვლება 16.2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი და სასკოლო ტიპის ღია სტადიონის განთავსება და სარეკრეაციო ზონის (გრგ-ის გათვალისწინებით) მოწყობის ვადად განისაზღვრება არაუგვიანეს 2027 წლის 28 სექტემბერი. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, იცვლება 16.2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტიც, რომლის თანახმად, ფონდმა დღის ცენტრის ტიპის დაწესებულების აშენება და გარემონტება უნდა დაასრულოს არაუგვიანეს 2026 წლის 30 ივნისისა, ხოლო 2027 წლის 28 სექტემბრისა.

• იცვლება ხელშეკრულების/აღნაგობის პირობების მე-20 პუნქტი და საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ ინფორმაციას დადასტურება განისაზღვრება სხივ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან მხარეთა წერილობითი შეთანხმებით სხვა შესაბამისი აკრედიტირებული აუდიტორის/აუდიტორული კომპანიის მიერ გაცემული დასკვნით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ასევე ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 75-ე მუხლის „დ.ზ“ ქვეპუნქტი და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 პუნქტები.

საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა კომისიის მიერ მითითებული შენიშვნები.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნევს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით 21-ე საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, I მ/რ, კორპუსი 5-ის მიმდებარედ რეგისტრირებული ტერიტორიიდან (ს/კ: N01.11.13.002.096) 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა (ა)იპ - ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლისთვის (ს/კ: 400013178) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემას, საბრძოლო-საჭიდაო მოედნის მოსაწყობად, სარბენი ბილიკების განსაახლებლად, მარტივი სავარჯიშო ინვენტარის დასამონტაჟებლად. ასევე

მწვანე ნარგავების განსაახლებლად და დასამატებლად, საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის მითითებით, ა.ა.ი.პ - ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლის პრეზიდენტმა, წერილით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ქ. ნაკვეთთან დაკავშირებით, რაც ფედერაციის პრეზიდენტის მითითებით წარმოადგენს ფედერაციის მთავარი საწვრთნელი ცენტრის (ს/კ: 01) მიმდებარე ტერიტორიას, რომელიც 2010 წლის 2 სექტემბერს დადებული ხელშეკრულებით, 10 წლის ვადით იყო იჯარით გადაცემული (ს/ნ: 204551476), რომლის საკუთრებად არის რეგისტრირებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონება (ს/კ: 01.11.13.002.039). წერილში ასევე აღნიშნულია, რომ იჯარით გადაცემული ტერიტორია გამოიყენებოდა სპორტულ ეზოდ, ღია სავარჯიშო და საწვრთნელ მოედნად. ტერიტორიაზე ასევე დაირგო მარადმწვანე ნარგავები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფედერაციის პრეზიდენტი ითხოვს მიწის ნაკვეთის გადაცემას სიმბოლურ ფასად, ვინაიდან ათწლიანი იჯარა ტვირთად აწვებოდა ორგანიზაციას და ასევე გეგმავს ინვესტიციის განხორციელებას, საკითხთან დაკავშირებით ასევე წარდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის წერილიც, მომხსენებელმა ასევე დასძინა, რომ ფედერაცია დამატებით გეგმავს 5000 ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელებას ხუთი წლის განმავლობაში, საბრძოლო-საჭიდაო მოედნის მოსაწყობად, სარბენი ბილიკების განსაახლებლად, მარტივი სავარჯიშო ინვენტარის დასამოწაუებლად. ასევე მწვანე ნარგავების განსაახლებლად და დასამატებლად.

მომხსენებლის მითითებით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი შეფასებულ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ქსაპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, რის შედეგადაც, მიწის ნაკვეთის წლიური საიჯარო ქირა შეფასდა 3790 ლარით. ამ გარემოების მიუხედავად, ხრიდოლის განვითარებაში ფედერაციისთვის ხელშეწყობის თვალსაზრისით, განვარგულების პროექტით განიხილება მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა ა.ა.ი.პ - ქართული ფასად, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1 ლარის ოდენობით, ინვესტიციის განხორციელების პირობით.

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოადგინა, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განვარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ა(ა)იპ - ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლისთვის (ს/კ: 400013178) გადაცემაშემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრა 5 (ხუთი) წლის ვადით
- ხოლო, საიჯარო ქირის ოდენობად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენილია სიმბოლური ფასი, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1 ლარის

ოდენობით, ინვესტიციის განხორციელების პირობით (არანაკლებ 5000 ლარის ოდენობის ინვესტიცია ხუთი წლის განმავლობაში).

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის პირველ პუნქტში საინვესტიციო პირობის მითითება შესაბამისი ფორმულირებით და აღნიშნული პუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება.

კომისიის წევრმა გიორგი ჩაკვეტაძემ მოსაზრება გამოთქვა განკარგულების პროექტით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ იგი ხელს შეუწყობს ქართული საგრძლო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობას, შესაბამისად, საკითხი შეაფასა დადებითად.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის თბილისში, ჩიტაას ქუჩა 17-ში, მე-2 სართულზე არსებული 338.73 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 01.16.06.006.008.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო სახლი " (ს/ნ: 205270570) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის N187 განკარგულების საფუძველზე, ა(ა)იპ „ფსილოლოგიური მომსახურების ცენტრ მწვანე სახლი“ (ს/კ: 205270570) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით ქუჩა #17-ში, ქ.თბილისში, მე-2 სართულზე არსებული 338.74 კვ.მ ფართი ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის განთავსების მიზნით, ამასთან, გაფორმებული ხელშეკრულების პირველი პუნქტის თანახმად, გადაცემულ ქონებაზე უსასყიდლო უზუფრუქტის უფლება წარმომაბა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. ხოლო, N01.16.06.006.008.01.506 საკადასტრო კოდზე უსასყიდლო უზუფრუქტის უფლება დარეგისტრირდა 2019 წლის 24 ივლისს.

მარიამ კვერნაძის მითითებით, უზუფრუქტუარმა 2021 წლის 18 ივნისის წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და კვლავ ითხოვა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო

უზუფრუქტის ფორმით გადაცემა პირვანდელი პირობებით, 2 წლის ვადით, ამასთან, განმცხადებლის მითითებით, ორგანიზაცია თბილისში ფუნქციონირებს 2006 წლიდან და ფსიქიკური დარღვევების პრევენციის მიზნით, ემსახურება მცირებულოვან ბავშვებს და მათ შეზღუდვის მქონე პირებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უზუფრუქტუარი ითხოვს ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას 2 წლის ვადით, იმავე პირობებით, საკითხი მოწონებული თბილისის მთავრობის მიერ და წარმოდგენილია ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემის მიზნით, პროექტის მიღება კი არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი თანხების გამოყოფას.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის მე-3 პუნქტის სტილისტურად გამართულობა და შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჭორულიანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით 23-ე საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, შპს „ცენტრ პოინტ ჯვუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, სს „Portal“-ის (ს/ნ 404989241) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მოხსენების დასაწყისში, კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჭორულიანმა ხაზი გაუსვა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების მირითადი დებულებების“ 35-ე მუხლით განსაზღვრულ საკითხს, რითაც დადგენილია დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რომლის გათვალისწინებითაც, განკარგულების პროექტთან ერთად წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულება, საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომის N16 ოქმი.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას 2021 წლის 23 ივნისს განცხადებით მიმართა სს „Portal“-მა და ითხოვა შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, მისამართებზე - ქ. თბილისი, ხევმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ (ს/კ 01.11.12.022.023, ფართობი -1921 კვ.მ); ქ. არსებულ მიწის ნაკვეთებზე დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების ფაქტობრივი გარემოები:

- შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, კომისიამ (ოქმი N11, 21.12.2020) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართებზე: - ქ. თბილისი, ხევმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.11.12.022.023.921 კვ.მ); ქ. თბილისი, ხევმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.12.022.059.945 კვ.მ.) სს „Portal“ მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის ფარგლებში შესაბამის მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რაც დამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ და შეითანხმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ შესაბამისი განკარგულებებით;

- დაინტერესებული პირი ითხოვს მიღებული მხარდამჭერი ღონისძიებების დაზუსტებას, კერძოდ: მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის სამშენებლო ობიექტის საცხოვრებელი ფუნქცია ნაცვლად 60%-ისა განისაზღვროს 90%-ით, პროექტის შეთანხმებისას ავტოსადგომების რაოდენობა გათვალისწინებულ იქნას არანაკლებ 65 ერთეულით, მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენის შეფასების გარეშე.

მომხსენებლის მითითებით, რამდენადაც, სს „Portal“-ის მიერ მოთხოვნილი დამტკიცებითი/დაზუსტებული მხარდამჭერი ღონისძიებები არ იწვევს საერთო სამშენებლო ფართისა და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებას, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, მისამართებზე - ქ. თბილისი, ხევმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ; ქ. თბილისი, ხევმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებული მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების მიზნით, განისაზღვროს დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებები, ხოლო, აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

- სს „Portal“-ს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, მისამართებზე - ქ. თბილისი, ხევმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ და ქ. თბილისი, ხევმარის ქუჩა N1-ის

მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განესაზღვროს შემდეგი
დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებები:

- ა) პორექტირებული არქიტექტურული პროექტი შეთანხმდეს და მშენებლობის ნებართვა გაიცეს ისე, რომ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში საზოგადოებრივი სივრცის (კომერციული და საოფისე ფართის) წილი განისაზღვროს არანაკლებ 10%-ის ოდენობით;
- ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემისას არ იქნას გათვალისწინებული ავტოსადგომების რაოდენობასთან დაკავშირებული ერთეულით;
- გ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენის შეფასების გარეშე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკურად გამართვა და შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ქორქოლიანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით 24-ე საკითხად რაც ითვალისწინებს, ქ. თბილისში, შარტავს ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), ა. ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1-18, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ.25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „გეობულინვესტის“ (ს/კ 206164960) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, ბერი გამრიელ სალონის გამზირის VI შესახვევი N1 (ს/კ N01.17.11.026.032) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, პროექტის მოწონების შესახებ ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულებასთან ერთად წარმოდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომის N18 ოქმი.

მომხსენებლის მითითებით, კომისიას განცხადებებით მიმართეს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ და შპს „გეობულინვესტმა“ და ითხოვეს ზემომითითებული მისამართებზე არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო, კომისიის მიერ, საკითხის განხილვის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- კომისიამ გასცა დადებითი რეკომენდაცია (ოქმი N 7, 21.09.2020 წ.) შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდაჭერი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, შემდეგ მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავის ქ. N, ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14ქ. N10;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული მხარდაჭერი ღონისძიებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა გასცა პირობადადებული სამშენებლო ნებართვები, ზემომითითებულ მისამართებზე, ამასთან, ამ ეტაპზე ყველა ობიექტზე (გარდა ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/ვ N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), შეთანხმებულია კორექტირებული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა);
- იმისათვის, რომ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფმა“ დაასრულოს დარჩენილი სამშენებლო - სარემონტო სამუშაოები და შენობა-ნაგებობები შევიდეს ექსპლუატაციაში, შპს „სი ემ სი“-სა და შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფს“, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფთან“ აფელირებულ კომპანიებს შორის გაფორმდა წინასამშენებლო სამუშაოებისა და მშენებლობის ზედამხედველობის შესახებ ხელშეკრულება (2020 წლის 29 იანვარი; 2020 წლის 20 ოქტომბერი - ცვლილების წინასამშენებლო მომსახურებას, ასევე, მის კომპეტენციის ფარგლებში ყველა იმ მომსახურებას, რაც ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, თუმცა საჭიროა, რომ მოცემული პროექტი დასრულებულ იქნას დროულად და ხარისხიანად, მათ შორის, ტენდერის ბატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- აღნიშნულ სამშენებლო ობიექტებზე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დაწყებისათვის აჭირო გარკვეული თანხების მობილიზება, რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილი განაცხადითა და საპროექტო წინადადებით, შპს „გეობულინვესტი“ გამოთქვას მზაობას, განახორციელოს ფინანსური მხარდაჭერა შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების

მომხსენებლის მითითებით, შპს „გეობულინვესტის“ საკუთრებაშია მისამართზე - ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის VI შესახვევი N1 - არსებული მიწის ნაკვეთი (ს/ვ N01.17.11.026.032, ფართობი - 2059 კვ.მ). აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ამ ეტაპისთვის შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და მიმდინარეობს მშენებლობა, რომლის შემდგომი რეკონსტრუქციაც არის გათვალისწინებული და ახალი მოცულობის ჩადგმა, ხოლო, მიწის ნაკვეთზე ვრცელდება: (კ-1) - 0.5; (კ-2) - 2.5; (კ-3) - 0.3;

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ შპს „გეობულინვესტი“ ითხოვს, მისამართზე - ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის VI შესახვევი N1 (ს/კN01.17.11.026.032) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებას (კ-2) 2.5-დან 2.8-მდე და რომ სიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სიმაღლისა და მიჯნის ნაწილში პრეფერენციული მიდგომის გამოყენებას; ამასთან, დასმინა, დასკვნით, ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის VI შესახვევი N1-ში არასასოფლო სამურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2021 წლის 22 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 247 080 აშშ დოლარს, რაც შესაბამისი ბაცვლითი კურსით (3.3069) ეროვნულ ვალუტაში შეადგენს 817 069 ლარს, ხოლო, იმ როგორც დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერ ღონისძიებას, გასცემს მოთხოვნის შესაბამისად რეკომენდაციებს, კომპანია გამოთქვამს მზაობას, აანაზღაუროს ზემომითითებულ არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის 98 067 ლარის ოდენობით და თანხა 98 067 ლარი გადაიხადოს მშენებლობის ნებართვების აღების ეტაპზე, მოთხოვნისამებრ.

მომხსენებელმა ისაუბრა კომისიის მოსაზრებაზე და აღიშნა, რომ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების (მათ შორის ექსპლუატაციაში მიუღებელი შენობა-ნაგებობების) დასრულების მიმართ არის მაღალი ელოდება ათასობით დაზარალებული პირი/ოჯახი, მათ შორის ემიგრაციაში მყოფი მოქალაქეები, რომლებიც სამშობლოში ვერ ბრუნდებიან საცხოვრისის არქონის გამო, ხოლო, რომ შეიქმნას ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის შესაბამისი საცხოვრისი და უსაფრთხო გარემო, რისთვისაც საჭიროა სოლიდური თანხის მობილიზება, შესაბამისად, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია:

- მისამართზე - ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის VI შესახვევი N1 (ს/კN01.17.11.026.032) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში წარმოდგენილი საპროექტო წინადადება განხილულ იქნას, როგორც შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების მხარდამჭერი ღონისძიება და გაიცეს დადებითი რეკომენდაციები;
- შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით და სანგარიშო ფორმულით:

ლევან ქორქოლიანმა ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“ და შპს „გეობულინვესტს“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, ა. ბაქრაძის ქ N16 კოსმონავტების ქ. N45-47-49, ბოხუას ქ. N10 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, წარმოდგენილი განცხადების და დოკუმენტაციის ფარგლებში, მისამართზე - ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის VI შესახვევი N1 (ს/კ

N01.17.11.026.032) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში განესაზღვროთ შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება (კ-2) 2.5-დან 2.8 -მდე;
- კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული შენობების სიმაღლისა და მიჯნის განმსაზღვრელი მოთხოვნები;
- შპს „გეობულინვესტმა“ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის 29 650 (ოცდაცხრა ათას ექვსასორმოცდაათი) აშშ დოლარის ექვივალუნტი ლარში - გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“, შპს „მარიჯანი, შპს „გეითვეი ჰოლდინგი“, შპს „დაკიდებული ბაღები“, შპს „დიღომი დისტრიქტ აფართმენტს“, ამხანაგობა „ახალი დიღომი“, ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად;
- შპს „გეობულინვესტმა“ ამ განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა, ამავე პუნქტში მითითებული მემორანდუმით მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი არაუგვიანეს 6 თვის ვადას;
- ამ განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამავე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას;
- შპს „გეობულინვესტმა“, მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სსიპაკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ორგანოს/პირის მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

აზრი გამოთქვევა:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, ტექნიკურად გაიმართოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი და პროექტის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) შპს „გეობულინვესტმა“ (ს/ნ 206164960), მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ორგანოს/პირის მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-

ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე. აღნიშნული დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება არ გავრცელდება, თუ მოხდება არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი.“
გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ქორქოლიანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით 25-ე საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ N01.18.06.018.052) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს „ვენა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, პროექტის მოწონების შესახებ ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულებასთან ერთად წარმოდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომის N19 ოქმი.

ლევან ქორქოლიანის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებებით მიმართა შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსმა“ (ს/ნ 405159340) და ითხოვა მისამართზე - ქ. თბილისი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ N01.18.06.018.052) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო, კომისიის მიერ სხდომაზე საკითხის განხილვის შემდეგ გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- კომისიამ (ოქმი N5, 21.07.2020) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართზე - ქ. თბილისი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ N01.18.06.018.052) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისათვის შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის“ (ს/ნ 405159340) მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის ფარგლებში მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რაც დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ და შეითანხმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ;

- როგორც დაინტერესებული პირი - შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსი“ განმარტავს, არქიტექტურული პროექტის დამუშავების ეტაპზე დაინტერესებული პირის მიერ ჩატარდა აღნიშნული ტერიტორიის კვლევა, რომლის საფუძველზეც მომზადდა დეტალური არქიტექტურული პროექტი, რაც იწვევს გარკვეული საკითხების მხოლოდ საქართველოს

მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებასთან მიმართებაში კორექტირებას. ამასთან, წარმოდგენილი კორექტირებები არ იწვევს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის და საერთო სამშენებლო ფართის ცვლილებას;

- დაინტერესებული პირი - შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსი“ ითხოვს მიღებული მხარდამჭერი ღონისძიებების დაზუსტებას, კერძოდ, გრგ-ს შეთანხმება, არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს ავტოსადგომების რაოდენობისა და პარამეტრების მიმართ არსებული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. ამასთან, ავტოფარეხების რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 75 სამოცდათხუთმეტი ერთეულით;

- როგორც დაინტერესებული პირი განმარტავს, მისამართზე - ქ. თბილისი, არსებული მშენებლობა არის შპს „ცენტრ პოინტ ჯუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობა. აღნიშნული შენობა-ნაგებობის მირითადი კონსტრუქციული ნაწილი აშენებულია. შესაბამისად, უკვე არსებული ავტოსადგომების რაოდენობის გასაზრდელად შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული ან არქიტექტურული ცვლილება შეუძლებელია. ამასთან, მიმდებარე განაშენიანების გათვალისწინებით არ არსებობს ავტოსადგომების რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობა. არსებული დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ლევან ქორქოლიანმა ისაუბრა კომისიის მოსაზრებაზე და აღნიშნა შემდეგი: რამდენადაც შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის“ (ს/ნ 405159340) მიერ მოთხოვნილი მხარდამჭერი ღონისძიებების დაზუსტება არ იწვევს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის და საერთო სამშენებლო ფართის ცვლილებას, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, მისამართზე - ქ. თბილისი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/ვ N01.18.06.018.052) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებული მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების მიზნით, დაზუსტდეს ხელშემწყობი ღონისძიებები, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა, შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანს“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, წარმოდგენილი განცხადებების და დოკუმენტაციის საფუძველზე, მისამართზე - ქ. თბილისი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის განსაზღვროს შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებები:

ა) კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის და არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს ავტოსადგომების რაოდენობისა და პარამეტრების მიმართ არსებული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. ამასთან, ერთეულით;

ბ) კორექტირებულიგანაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე

წარმოადგინოს საექსპერტო შეფასება პროექტის ფარგლებში ავტოსადგომების ტერიტორიაზე გაწეული და გასაწევი სამუშაოების მოცულობებისა და დანახარჯების შესახებ, რომლითაც დადასტურდება რომ, ავტოსადგომების რაოდენობის შემცირება არ გამოიწვევს IRR-ის გაზრდას, შესაბამისი საექსპერტო შეფასებით წარმოდგენილი დასკვნა განისაზღვროს კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების პირობად.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, ტექნიკურად გაიმართოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

მოსმინეს:

ლევან ქორქოლიანის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებებით მიმართეს შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფმა“ და შპს „საბურთალომ“ და მოითხოვეს მისამართზე - ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N 01.14.03.039.007) არსებული შედეგი:

- მისამართზე - ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007) მშენებლობის ნებართვა გაიცა 2006 წლის 23 მარტს (№ნ/174); სამშენებლო ობიექტზე: კ1=0.7; კ2=5.7; კ3=0.1;
 - კომისიამ გასცა დადებითი რეკომენდაცია (ოქმი N7, 21.09.2020წ.) შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების

დასრულებისთვის მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, შემდგე
და მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3, ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14 ქ.
ავ.ბაქერაძის ქ N16, ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 ქ. თბილისი, ბოხუას ქ.
N10, ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 აღნიშნული მხარდამჭერი ღონისძიებები დამტკიცა
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ და შეითანხმა ქალაქ თბილისი
მუნიციპალიტეტის საკრებულომ ;

- აპი „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორის“ შექმ ძორზედა
ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნა აღნიშნული დასკვნის მიხედვით, მისამართებზე
ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნა აღნიშნული დასკვნის მიხედვით, მისამართებზე
- ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3; ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, ქ. თბილისი,
- ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10, ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49
აკ.ბაქრაძის ქ N16, ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10, ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49
არსებული შენობების მზიდ კონსტრუქციებში დაზიანებები არ შეინიშნება; ამავე დასკვნის
არსებული შენობების მზიდ კონსტრუქციებში დაზიანებები არ შეინიშნება; ამავე დასკვნის
მიხედვით, მისამართზე - ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2(ს/კ N01.14.03.039.007) არსებული
შენობის მზიდ კონსტრუქციებში დაზიანებები არ შეინიშნება, ხოლო მთლიანობაში შენობის
ტექნიკური მდგომარეობა ავარიულობის თვალსაზრისით შესაბამება დაზიანების 1 ხარისხს;
• აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიამ გასცა რეკომენდაცია (ოქმი N7, 21.09.2020წ.),
რომ მშენებლობის ნებართვის აღების ეტაპზე წარმოდგენილ იქნას შენობა-ნაგებობის მზიდი
კონსტრუქციის მდგრადობის დამადასტურებელი საექსპერტო დასკვნა;
• როგორც დაინტერესებული პირი - შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფი“ განმარტავს, იმისათვის,
რომ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფი“ დაასრულოს დარჩენილი სამშენებლო -სარემონტო
სამუშაოები და ზემოთაღნიშნულ მისამართებზე არსებული შენობა-ნაგებობა შევიდეს
სამუშაოები, შპს „სიემსი“-სა და შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფი“, შპს „ცენტრ პოინტ
ექსპლუატაციაში, შპს „სიემსი“ ასრულებს პროექტის მენეჯმენტს, წინასამშენებლო
აფართმენტს, იბა ამხანაგობა „ახალი დიღომი“ შორის გაფორმდა წინასამშენებლო
სამუშაოებისა და მშენებლობის ზედამხედველობის შესახებ ხელშეკრულება (2020 წლის 29
იანვარი), რის მიხედვითაც, შპს „სიემსი“ ასრულებს პროექტის მენეჯმენტს, წინასამშენებლო
მომსახურებას და სამშენებლო მომსახურების ზედამხედველობას, ასევე, მისი კომპეტენციის
ფარგლებში ყველა იმ მომსახურებას, რაც ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული.
თუმცა საჭიროა, რომ მოცემული პროექტი დასრულებულ იქნას დროულად და ხარისხიანად
• აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „სიემსიმ“ (ს/კ 205292486) მოამზადა
შისამართზე - ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩის დასაწყისი, (ს/კ N01.14.03.039.007) - არსებული
სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო
ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა;
• აპი „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ დასკვნის გათვალისწინებით შპს
„სი ემ სი“-ს მიერ მისამართზე - ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007)
არსებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით გამოცხადებულ
ტენდერით და შემდგომ გამარჯვებულ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულებით
განისაზღვრაშენობა-ნაგებობის მზიდი კონსტრუქციის მდგრადობის დამადასტურებელ
საექსპერტო დასკვნის მომზადების ვალდებულება;
• ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ (შპს „მეტა“), შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფთა
გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად, ჩატარ
არსებული შენობა-ნაგებობის დამატებითი საინჟინრო გეოლოგიური კვლევა/დასკვნ
შენობის რეკონსტრუქცია - დაშენებითი პროექტის ფუძე - საძირკვლების და კონსტრუქციულ
ნაწილის საექსპერტო შეფასება;

- წარმოდგენილ იქნა შპს „ექსპერტიზას“ მიერ შესრულებული, სამშენებლო ობიექტის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის პროექტის შეფასება/ინსპექტირება. როგორც შეფასების ავტორი განმარტავს, წარმოდგენილი შეფასება/ინსპექტირება. როგორც შეფასების ავტორი განმარტავს, წარმოდგენილი პროექტიდან ინსპექტირება ჩაუტარდა მხოლოდ კონსტრუქციულ ნაწილს, რომელიც ითვალისწინებს ნაწილობრივ აგებული მრავალფუნქციური შენობის რეკონსტრუქციის „PROGRESS Project“-ის მიერ, 2021 წელს;

„ენტრეპრენური კონტექსტში მიერ დაინტერესებული პირის - შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფი“ მიერ ლევან ჭორუქოლიანმა ისაუბრა დაინტერესებული პირის - შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფი“ მიერ კვლევის შედეგების მიხედვით გამოთქმულ განმარტებებზე:

- პროექტის მონაცემთა შეუსაბამობა საძირკვლის ფილის სისქესა და მის დაფუძნებასთან დაკავშირებით, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია აღდგენა -გაძლიერების პროექტის მომზადების პროცესში, საჭიროა, საძირკვლის ფილის ჩაუტარდეს ჰიდროსაინჟინირო მიმდებარების მასალებით და ჩატარდეს კვლევა საკვლევი შენობის საძირკვლების სამუშაოებით თანამედროვე მასალებით და გატარდეს კვლევა საკვლევი შენობის საძირკვლების მიმდებარე შენობებზე გავლენის არსებობის შესახებ და გავლენის დადასტურების შემთხვევაში გატარდეს შესაბამისი საპროექტო და სამშენებლო ღონისძიებები;
 - ამავდროულად, არსებული შენობა - ნაგებობის ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევა/დასკვნით და შენობის რეკონსტრუქცია - დაშენებითი შპს „ექსპერტიზას“ მიერ გაკეთებული სამშენებლო ობიექტის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მოქმედ გაკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირების და „ქალაქ თბილისი, ვაკე-დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირების და „ქალაქ თბილისი, ვაკე-საბურთალოს მუნიციპალიტეტი, მარიჯანის ქ. N2-ში არსებული დაკონსერვებული მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საინჟინრო-გეოლოგიური მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგების“ მიხედვით შეფასებისთვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგების დაინტერესებულ პირს მიაჩნია, რომ:
 - მზიდი კონსტრუქციიდან გამომდინარე, შენობა მიეკუთვნება კაპიტალურობის მეოთხე ჯგუფს და მისი გამოსადეგობის ვადა შეადგენს 50 წელს. მშენებლობის დაწყებიდან გასულია უკვე 18 წელი, ამასთან, შენობა ამორტიზებულია, ვინაიდან შენობის მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებს მიღებული აქვს ფიზიკური და ასაკობრივი ცვეთა;
 - შენობა-ნაგებობის არსებული სახით ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია ადამიანთა სიცოცხლისათვის, დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, მისი აღდგენა -გამაგრება მიგვაჩნია გაუმართებლად დაექვემდებარება სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებას. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 52-ე მუხლის თანახმად;
 - საექსპერტო შეფასებების მიხედვით განსახორციელებელი გამაგრებითი სამუშაოების შემთხვევაშიც კი, ობიექტის არსებული კონსტრუქცია და საძირკველი ვენა განხორციელების შემთხვევაშიც კი, ობიექტის არსებული კონსტრუქცია და საძირკველი ვენა იქნება სანდო და უსაფრთხო იმისათვის რომ დასრულდეს პროექტით განსაზღვრული შენობა ნაგებობის კონსტრუქციული ნაწილი;
 - ამასთან, ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების დიდი მოცულობით გათვალისწინებით, შენობის აღდგენა ფინანსურად არ არის რენტაბელური, რამდენადა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისთვის განსაზღვრული თანხების გარდა, მოითხოვ დამატებითი დიდი ოდენობის თანხების მობილიზებას;

